
თავი - 27

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

- ❖ წილობრივი ინსტრუმენტებში დაბანდებული ინვესტიციები;
- ❖ ინვესტიცია შვილობილ საწარმოში;
- ❖ კონსოლიდირების პროცედურები.

27.1. წილობრივი ინსტრუმენტებში დაბანდებული ინვესტიციები

წინამდებარე თემაში განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შედგენის პრინციპებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფინანსური აღრიცხვის პროგრამაში ჩვენ გავცანით ნაწილობრივ ინსტრუმენტში დაბანდებული ინვესტიციების აღრიცხვის საკითხებს, რომელთა, განმეორებაც საჭიროდ მივიჩნიეთ, რათა გავიხსენოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შედგენის მოთხოვნის წინაპირობები.

საწარმო ინვესტიციას სხვადასხვა მიზნით ახორციელებს. ზოგიერთი საწარმოსათვის საინვესტიციო საქმიანობა წარმოადგენს მისი ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვან ელემენტს. ზოგიერთი საწარმო ინვესტიციებს ფლობს დამატებითი ფულადი სახსრების მიღების მიზნით, ხოლო ზოგიერთი - კომერციული ურთიერთობების გაძლიერების ან კომერციული უპირატესობის მოსაპოვებლად.

ინვესტიციების მოცულობიდან და მხარეებს შორის ჩამოყალიბებული საინვესტიციო ურთიერთობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ინვესტიცია ზემოთხსენებული სხვადასხვა მიზნით იყოს განხორციელებული. ამიტომ, ბურალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების თვალსაზრისით, განსხვავებული წესებია დადგენილი. შესაბამისად, კლასიფიცირებისათვის აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა პოზიცია აქვს ინვესტორს. კერძოდ:

- ინვესტორი აკონტროლებს სხვა საწარმოს;
- ინვესტორი სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით;
- ინვესტორი ვერ სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით და ვერ აკონტროლებს სხვა საწარმოს; თუ
- ადგილი აქვს ერთობლივი მიზნით ინვესტირებას.

წილობრივი ისნტრუმენტი - არის წებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას.

ინვესტორის პოზიციის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს ფინანსური ანგარიშების მომზადების მიზნით.

იმისათვის, რომ გავერკვეთ თუ რას გულისხმობს ზემოთ ჩამოთვლილი ინვესტირების ფორმები, უპრიველეს ყოვლისა გავერკვეთ შემდეგ ტერმინებში:


კონტროლი - ნიშნავს საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, ამ საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

მნიშვნელოვანი ზეგავლენის უფლება - ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ერთობლივი კონტროლი - წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

ინვესტიციების სხვადასხვა მოცულობიდან გამომდინარე ინვესტორს განსხვავებული უფლებები გააჩნია ინვესტირებული საწარმოს მიმართ. **ინვესტიცია სქემა №1**

სქემა №1



27 . 2 . ინვესტიცია შეიღობილ საწარმოში

ბასის 27 “კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშება”-ს მიხედვით:

შეიღობილი საწარმო - არის საწარმო, ამხანაგობის ტიპის არაკორპორაციული ერთეულის ჩათვლით, რომელსაც კონტროლს უწევს სხვა საწარმო (ცნობილი სათავო საწარმოს სახელწოდებით).

სათავო საწარმო - ისეთი საწარმოა, რომელსაც გააჩნია ერთი ან მეტი შეიღობილი საწარმო.


საწარმოთა ჯგუფის უწოდებენ სათაო და შეიღობილ საწარმოებს ერთად.

სათაო სწარმოს ამ სტანდარტის საფუძველზე აქვს ვალდებულება შეადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმისათვის რომ საწარმო ჩაითვალოს სათაო საწარმოდ ის უნდა “აკონტროლებდეს” მეორე საწარმოს.

გასს 27-ის მიხედვით - კონტროლი არსებობს, როდესაც სათავო საწარმო, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოს მეშვეობით ფლობს ხმის უფლების ნახევარზე მეტს. მაგრამ ასეთი მფლობელობა შეიძლება ყოველთვის არ გულისხმობდეს ცონტროლს. თუმცა კონტროლი შეიძლება არსებობდეს იმ შემთხვევაშიც თუ სათაო სწარმო ფლობს ხმის უფლების ნახევარს ან ნახევარზე ნაკლებსაც და პირიქით.


შვილობილი საწარმოს განსაზღვრის სქემა შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:


სქემა 2



იმის საილუსტრაციოდ თუ რას გულისხმობს ხმის უფლების ნახევარზე მეტის პირდაპირი და არაპირდაპირი ფლობა განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

სქემა 3





A საწარმო B საწარმოში პირდაპირ ფლობს წილის 80%-ს; C საწარმოში პირდაპირ 35% და არაპირდაპირ 24% (30%-ის 80%-ს) ფლობს, ხულ A საწარმო C საწარმოში ფლობს წილის 59%-ს. D საწარმოში პირდაპირ ფლობს 25% და არაპირდაპირ წილის 32% (40%-ის 80%-ს) ფლობს, ხულ A საწარმო D საწარმოში ფლობს წილის 57%-ს.

აქედან გამომდინარე A საწარმო არის სათაო სწარმო B, C და D საწარმოები კი შვილობილი საწარმოები.

სათაო და შვილობილ საწარმოებს ერთად - **საწარმოთა ჯგუფის უწოდებელი**. სათაო საწარმოს ევალება წარადგინოს **კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება**.

წმინდა იურიდიული მოსაზრებით სათაო და შვილობილი საწარმოები გამიჯნულია:

- სათავო საწარმო ინდივიდუალური იურიდიული ერთეულია;
- შვილობილი საწარმო ინდივიდუალური იურიდიული ერთეულია.

თუმცა, ეკონომიკური შინაარსით შესაძლებელია მათი მიჩნევა ერთ ერთეულად – ჯგუფად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება - არის ჯგუფის ფინანსური ანგარიშება, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური ერთეულის ანგარიშება.

როგორც ზემოთ გავარკვიეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შედგენის ამოსავალი პირობა არის არა ხმის უფლების ნახევარზე მეტის ფლობა, არამედ საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის “კონტროლის უფლება”.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვიჩვენებს სათაო და შვილობილი საწარმოების ყველა აქტივსა და ვალდებულებას.

სათაო საწარმოს მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება გვიჩვენებს:

- მთელი ჯგუფის (სათაო + შვილობილი საწარმო) წმინდა აქტივებს;
- ჯგუფის სააქციო კაპიტალს, რაც ყოველთვის მხოლოდ სათაო საწარმოს სააქციო კაპიტალის ტოლია; და
- გაუნაწილებელ მოგებას, რომელიც შედგება ჯგუფის მიერ მიღებული მოგებისგან (ე.ი. სათაო საწარმოს წარსული პერიოდების მოგება + შვილობილი საწარმოს შეძენის შემდეგ მიღებული მოგება).

სათაო საწარმო **კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების** გარდა ადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებასაც.

ძირითადი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ინვესტიცია აისახება ფასს 3-ის “საწარმოთა გაერთიანება” შესაბამისად - შეძენის მფლობელი - ანუ იმ აქტივების რეალური ღირებულებით, რაც გადაიხადა შეძენისას.

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც ზემოთ ავლიშნეთ ძირითადი საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებს ემატება შვილობილი საწარმოს აქტივები და ვალდებულებები, რომელიც კონსოლიდაციის მიზნებისათვის უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას გადახდილი ფასი თუ აჭარბებს შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება “გუდვილი”:

27.3. კონსოლიდირების პროცედურები

განხილული მაგალითის მიხედვით **A** საწარმომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თავი უნდა მოუყაროს ყველა შვილობილი საწარმოს ფინანსურ ინფორმაციას. მისი მომზადების დროს ცალკეული კორპორაციების ანგარიშგებები თავიდან დარეგულირდება, ხოლო შემდეგ გაერთიანდება. კონსოლიდირებული ეკონომიკური ერთეულისათვის არ წარმოებს ცალკეული უურნალები და წიგნები. მათ ნაცვლად მზადდება სამუშაო ფურცელი, რომელშიც გამოიყენება მონაცემები ცალკეული კორპორაციების ანგარიშებიდან. იმისათვის რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოაჩენდეს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის შესახებ დამოუკიდებელი ერთეულის მსგავსად, აუცილებელია შემდეგი პროცედურის ჩატარება:

- ინვესტიციებისა და საკუთარი კაპიტალის ელიმინირება.** შვილობილი საწარმოს კაპიტალიდან უნდა გამოირიცხოს შვილობილ საწარმოში დაბანდებული სათაო საწარმოს ინვესტიციების მიმდინარე საბალანსო ღირებულება და სათაო საწარმოს წილი. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ბალანსში არ უნდა აისახოს შვილობილ საწარმოში დაბანდებული ინვესტიცია და ანალოგიური თანხით უნდა შემცირდეს შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალი.

მაგალითი №1

A საწარმო ფლობს **B** საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 100%-ს. სამუშაო ცხრილის ელიმინირების სეტი გვიჩვნებს კონსოლიდაციის მიზნით გამოსარიცხ თანხებს. **A** საწარმოს ინვესტიცია **B** საწარმოში შეადგენს 50,000 ლარს. ინვესტირება მოხდა საანგარიშო წლის დასაწყისში და ამ მომენტისათვის **B** საწარმოს გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 5,000 ლარს.

სექტა 4

კონსოლიდირებული ბალანსის შესაღები სამუშაო ცხრილი

მუხლები	A საწარმოს ბალანსი	B საწარმოს ბალანსი	ელიმინირება		კონსოლიდირ. ბალანსი
			დებეტი	კრედიტი	
ძირითადი საშუალებები	900,000	50,000			950,000
ინვესტიციები მეცანიერებული საწარმოები	65,000			50,000	15,000
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა	25,500	17,200			42,700
სავაჭრო მოთხოვნები	12,300	3,700			16,000
ფულადი სახსრები	37,400	12,600			50,000
სულ აქტივები	1,040,200	83,500		50,000	1,073,700
საკუთარი კაპიტალი	850,000	45,000	45,000		850,000
აუმულირებული მოგება	150,500	15,300	5,000		160,800
გრძელვადიანი სესხები	25,400	15,500			40,900
სავაჭრო ვალდებულებები	14,300	7,700			22,000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,040,200	83,500	50,000		1,073,700

ამდენად, შვილობილ საწარმოში ინვესტიციებისა და საკუთარი კაპიტალის ელიმინირების შემდეგ, კონსოლიდირებულ ბალანსში ინვესტიციები აისახება 15,000 ლარის, ხოლო საკუთარი კაპიტალი – 1,010,800 ($850,000 + 160,800$) ლარის ოდენობით.

2. მოგებაში უმცირესობის წოლის კორექტირება. როგორც ზემოთ აღნიშნეთ კონტროლისთვის აუცილებელი არ არის შვილობილ საწარმოში ხმის უფლების 100 %-იანი ფლობა. ამიტომ, ხმის შემთხვევაში, შვილობილ საწარმოებში ხმის გარკვეულ ნაწილს სხვა პირები ფლობენ. მათ

უმცირესობას უწოდებენ. წილის შესაბამისად უმცირესობას თავისი ინტერესი გააჩნია შვილობილ საწარმოში. ამიზომ, უნდა განისაზღვროს უმცირესობის წილი კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების წმინდა მოგებაში ან ზარალში საანგარიშგებო პერიოდისათვის და აისახოს კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგებაში.

უმცირესობის წილი არის შვილობილი საწარმოს მოგების ან ზარალის და წმინდა აქტივების ის ნაწილი, რომელიც არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ (შვილობილი საწარმოების მეშვეობით) არ დაუთვინის სათაო საწარმოს.

უმცირესობის წილი გამოიანგარიშება შვილობილი საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლიდან “მოგება დაბეგვრის შემდეგ”. ივი ცალკე გამოიყოფა კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და ემატება უმცირესობის წილს ბუღალტრულ ბალანსში.

მაგალითი №2

დავუშვათ, A საწარმოს შვილობილ საწარმოში, უმცირესობა ფლობს ხმის უფლების 20%-ს. საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის სათაო და შვილობილი საწარმოს ფინანსური შედეგის შესახებ არსებობს შემდეგი ინფორმაცია.

სექტემბერი 2018 წლის საწარმოების მოგებისა და ზარალის ანგარიშებიდან

	A საწარმოს	B საწარმოს
ამონაგები რეალიზაციიდან	1,053,270	111,350
რეალიზებული პროდუქციის თვითრირებულება და ხარჯები	875,900	97,650
საერთო მოგება	177,370	13,700
გადასახადი	26,870	3,400
მოგება დაბეგვრის შემდეგ	150,500	10,300

უნდა დადგინდეს უმცირესობის წილი მოგებაში კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით.

სტანდარტი 6

ფრაგმენტი მოვებისა და ზარალის კონსოლიდირებული ანვარიშიდან

	A საწარმოს
ამონავები რეალიზაციიდან ($1,053,270 + 111,350$)	1,164,620
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და ნარჯები ($875,900 + 97,650$)	973,550
ჯაუზის მოვება დაბუღვრამდე	191,070
გადასახადი ($26,870 + 3,400$)	30,270
მოვება დაბუღვრის შემდეგ	160,800
უმცირესობის წილი ($20\% \times 10,300$)	2,060
სათაოზე მისაკუთვნებული მოვება	158,740

3. წმინდა აქტივებში უმცირესობის წილის კორექტირება. ბასს 27-ით დადგენილი კონსოლიდაციის პროცედურები მოითხოვს, ვანისაზღვროს უმცირესობის წილი კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების წმინდა აქტივებსა და შვილობილი საწარმოს კაპიტალში, სათაო საწარმოს აქციონერთა წილისაგან განცალკევებით.

მაგალითი №3

დავუშვათ, ზემოთ მოყვანილი 1-ლი და მე-2 მაგალითები ეხება ერთი და იმავე საწარმოებს შეძლევი ცვლილებით:

A საწარმო ფლობს **B** საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 80%-ს, რომელიც შეძენილია 40 000 ლარად;

ასეთ შემთხვევაში, კონსოლიდირებული ბალანსის შესაღენი სამუშაო ცხრილი მიიღებს ასეთ სახეს:

სექტემბერი 7

კონსოლიდირებული ბალანსის შესაღვევი სამუშაო ცხრილი

მუხლები	A საწარმოს ბალანსი	B საწარმოს ბალანსი	ელიმინირება		კონსოლიდირ. ბალანსი
			დეპეზი	კრედიტი	
ძირითადი საშუალებები	900,000	50,000			950,000
ინვესტიციები მუქავშირე საწარმოებში	65,000			40,000 ¹	25,000
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა	25,500	17,200			42,700
სავჭრო მოთხოვნები	12,300	3,700			16,000
ფულადი სახსრები	37,400	12,600			50,000
სულ აქტივები	1,040,200	83,500		40,000	1,083,700
საქციო კაპიტალი	850,000	45,000	36,000 ¹ 9,000 ²		850,000
აუქტლიარებული მოგება	150,500	15,300	4,000 ¹ 1,000 ² 2,060 ²		158,740
უმცირესობის წილი				12,060 ²	12,060
გრძელვადიანი სესხები	25,400	15,500			40,900
სავჭრო ვალდებულებები	14,300	7,700			22,000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,040,200	83,500	52,060	12,060	1,083,700

შენიშვნა

1. **36,000 – სათაო საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს საქციო კაპიტალში;**
4,000 – სათაო საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელ მოგებაში შემცირების მომენტისათვის;
2. **9,000 – უმცირესობის წილი შვილობილი საწარმოს საქციო კაპიტალში;**
1,000 – უმცირესობის წილი შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელ მოგებაში შემცირების მომენტისათვის;

2,060 – უმცირესობის წილი შვილობილი საწარმოს გაუნაწილებულ მოვებაში შეძენის შეძღვოზე პრიორული:

ზემოთ განხილულ მაგალითებში იგულისხმებოდა, რომ ძირითად საწარმოს შვილობილი საწარმოები შეძენილი აქვს ნომინალით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეძენის თვითღირებულება წმინდა აქტივების ორგანიზაციის ტოლია. მაგრამ ეს იშვიათად ხდება და, უძველეს შემთხვევაში, შეძენის დროს ადგილი აქვს გუდვილის წარმოშობას.

განვიხილოთ გუდვილი წარმოშობის მაგალითები. დავიწყოთ მარტივი სიტუაციით.

მაგალითი №4

დავუშვათ, რომ 20X1 წლის 1 იანვარს **Q** საწარმომ შეიძინა **P** საწარმოს ხმის უფლების 100%. შეძენის თვითღირებულებამ შეადგინა 650 000 ლარი.

სათაო და შვილობილი საწარმოს ბალანსი შეძენის მომენტში:

სტამბა 8

ბალანსის მუხლები	Q საწარმოს (ათ. ლარი)	P საწარმოს (ათ. ლარი)
იდენტიფიცირებადი აქტივები	3,200	500
ინვესტიცია P საწარმოში	650	-
სულ აქტივები	3,850	500
საკუთარი კაპიტალი	3,600	400
იდენტიფიცირებადი ვალდებულებები	250	100
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,850	500

საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივების რეალურმა ღირებულებამ შეადგინა 650 000 ლარი.

საწარმოს შეძენასთან დაკავშირებული გუდვილი შეადგენს:

თანხა
(ათ. ლარი)

შეძენის ღირებულება **650**

მინუს: საწარმოს ნეტო აქტივების წილი შეძენის თარიღისათვის

იდენტიფიცირებადი აქტივები **650**

იდენტიფიცირებადი ვალდებულებები **(100)**

550

100

გუდვილი

კონსოლიდირებული ბალანსის შესადგენ ელიმინირების შემოკლებულ ცხრილს შეძღვი სახე ექვება:

სექტ 9

კონსოლიდირებული ბალანსის შესადგენი სამუშაო ცხრილი

(ათასი ლარი)

მუხლები	Q საწარმოს ბალანსი	P საწარმოს ბალანსი	ელიმინირება		კონსოლიდირ. ბალანსი
			დებეტი	კრედიტი	
იდენტიფიცირებადი აქტივები	3,200	500	150 ¹		3,850
გუდილი			100 ²		100
ინვესტიცია საწარმოში	650			650 ²	
სულ აქტივები	3,850	500	250	650	3,950
საქუთარი კაპიტალი	3,600	400	400 ²		3,600
გადაფასების რეზერვი			150 ²	150 ¹	
იდენტიფიცირებადი კალდებულებები	250	100			350
სულ საქუთარი კაპიტალი და კალდებულებები	3,850	500	650	150	3,950

შენიშვნა:

- (აქტივების რეალურ ღირებულებას $650 - 500$ აქტივების საბალანსო ღირებულება)
- (ინვესტიცია P საწარმოში 650 შედება: 400 ნეტო აქტივები; 150 გადაფასების რეზერვი; და 100 – გუდილი)
- შიდაჯგუფური ოპერაციებისა და ნაშთების ელიმინირება.** ამ მოტივით, კონსოლიდაციის მნიშვნელოვანი პირობაა შიდაიპერაციებისა და ნაშთების გამორიცხვა. შიდაჯგუფურ ნაშთებში, უმთავრესად, იგულისხმება ჯგუფში შემავალი საწარმოების ურთიერთობის უზრუნველყოფა და კალდებულებები. შიდაჯგუფური ოპერაციები კი მოიცავს შიდარეალიზაციებს, ხარჯებსა და დივიდენდებს.
- შიდაჯგუფური ნაშთების ელიმინირების საილუსტრაციოდ, გამოვიყენოთ პირველ ცხრილში მოტანილი ინფორმაცია და დავუშვათ, რომ მუხლი “სავაჭრო მოთხოვნები” A საწარმოში მოიცავს მოთხოვნებს B საწარმოს მიმართ 6,000 ლარის ოდენობით. (ცხადია, იგივე თანხა იგულისხმება B საწარმოს მუხლი “სავაჭრო კალდებულებები”)

სტემა 10

კონსოლიდირებული ბალანსის შესაფერი სამუშაო ცხრილი

ზეხლები	Q საწარმოს ბალანსი	P საწარმოს ბალანსი	ელიმინირება		კონსოლიდირებული ბალანსი
			დებეტი	კრედიტი	
ძირითადი საშუალებები	900,000	50,000			950,000
ინვესტიციები მექანიზმების საწარმოებში	65,000			50,000	15,000
სასონილო-მატერიალური ფასეულობა	25,500	17,200			42,700
სავაჭრო მოთხოვნები	12,300	3,700		6,000	10,000
ფულადი სახსრები	37,400	12,600			50,000
სულ აქტივები	1,040,200	83,500		56,000	1,067,700
საქციო კაპიტალი	850,000	45,000	45,000		850,000
აკუმულირებული მოვება	150,500	15,300	5,000		160,800
გრძელვადის სესხები	25,400	15,500			40,900
სავაჭრო ვალდებულებები	14,300	7,700	6,000		16,000
სულ საქუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,040,200	83,500	56,000		1,067,700

ჯგუფში შემავალი საწარმოების შიდაოპერაციების ელიმინირების საილუსტრაციოდ, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

მაგალითი №5

A საწარმო ფლობს B საწარმოს ხმის უფლების 80%-ს და აკონტროლებს მას. მოვებისა და ზარალის ანგარიშების კონსოლიდაციის სამუშაო ცხრილში მოცემულია A და B საწარმოს ინდივიდუალური ანგარიშების მონაცემები. არსებობს საანგარიშებო პერიოდის შეძლევი დამატებითი ინფორმაცია:

1. A საწარმომ B საწარმოს მიყვდა 240,000 ლარის საქონელი, რომლის თვითდირებულება შეადგენდა 227,000 ლარს;
2. A საწარმომ B საწარმოსავან შეიძინა მასალები 45,000 ლარად. მასალების თვითდირებულება შეადგენდა 43,000 ლარს. მასალები გაყიდულია სრულად;
3. A საწარმომ B საწარმოსავან მიიღო სესხის პროცენტი 5,000 ლარი.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშების შესადგენი სამუშაო ცხრილის გამოყენებით კონსოლიდირებული ფინანსური შედეგი შემდეგ სახეს მიიღებს:

სექტემბერი 12

**მოგების და ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშების
შესადგენი სამუშაო ცხრილი**

(ათასი ლარი)

მუხლები	A საწარმოს ბალანსი	B საწარმოს ბალანსი	ელიმინირება		კონსოლიდირ. ბალანსი
			დებუტი	კრედიტი	
აძრნაგები	2,150	955	285 ¹		2,820
რეალიზირებული პროდუქციის თვითდირებულება	(1,360)	(574)		270 ²	(1,664)
სერთო მოგება	790	381	285	270	1,156
სხვა საოპერაციო შემოსავლები	50	15	5		60
კომერციული ხარჯები	(90)	(25)			(115)
ადმინისტრაციული ხარჯები	(115)	(35)			(150)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(98)	(42)		5	(135)
შემოსავალი მექანიზ საწარმოებიდან	12	2			14
მოგება დაბუღვრამდე	549	296	290	275	830
მოგების გადასახადი	(110)	(61)			(171)
მოგება დაბუღვრის შედეგ	439	235	290	275	659
უმცირესობის წილი					(47)
წმინდა მოგება ან ზარალი ჩეკულებრივი	439	235	290	275	612*

საქმიანობიდან					
განსაკუთრებული მუხლების შემოსავალი	45				45
სამგარიშვებო პერიოდის წმინდა მოგება	484	235	290	275	657*

შენიშვნა:

1. $285\,000$ ლარი შედგება A საწარმოს მიერ **B** საწარმოსათვის მიყიდული საქონლის ($240,000$ ლარი) და **B** საწარმოს მიერ A საწარმოსათვის მიყიდული საქონლის ($45,000$ ლარი) ღირებულებების ჯამისაგან;
2. $270,000$ ლარი შედგება $227,000$ და $43,000$ -საგან.
- 3*. $612 = 439 + 235 + 275 - 290 - 47$
- 4*. $657 = 484 + 235 + 275 - 290 - 47$